

პრესრელიზი

პროექტ “ბავშვებს სურთ მშვიდობა”-ს მონაწილეები საქართველოში.

“ბავშვებს სურთ მშვიდობა “ პროექტის მონაწილეები თბილისში სტუმრობდნენ. ბავშვები უკრაინის კონფლიქტის ზონისპირა ქალაქ ვილნოვასადან “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა” და ევროპული სკოლის მოწვევით ჩამოვიდნენ.

დელეგაციას უკრაინის რადის დეპუტატი დიმიტრი ლუბიმეცი და ანა კრისიუკი ხელმძღვანელობდნენ. გაფორმდა ხელშეკრულება ევროპულ სკოლასა და საერთაშორისო ფონდ “პრომინს უკრაინას” შორის.

ოფიციალური შეხვედრების მიღმა კი იყო განსაკუთრებული და ემოციური ურთიერთობები ქართველ და უკრაინელ ბავშვებს შორის. გაცნობითი ღონისძიებები, ერთობლივი ექსკურსიები და ერთობლივი კონცერტები. უკრაინელი ბავშვები საქართველოში რამდენიმე დღე იმყოფებოდნენ. მათი საუბრის მთავარი თემა მშვიდობა იყო. ეს თემა უცხო არ იყო ქართველი თანატოლებისთვისაც, რის გამოც ბავშვებს შორის განსაკუთრებული ურთიერთგაგება და დამოკიდებულებები გაჩნდა. “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” სამომავლოდაც ფიქრობს ანალოგიურ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა.

6.10.2016

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივ აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

